საკონკურსო პირობები

შპს ,,დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში" 2025 წლის 01 აგვისტოს გამოცხადდეს ღია, საჯარო კონკურსი მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 01 სექტემბრიდან - 2025 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით ყოველდღე, კვირის გარდა 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, ხოლო შაბათს 11:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე შპს ,,დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში" (თბილისი, დიღმის მასივი, ლუბლიანას 2/6), ადამიანთა რესურსების დეპარტამენტში; ტელ.: 251-68- 98; ელ. ფოსტა: office@dtmu.edu.ge).

საკონკურსო პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება ღია, საჯარო კონკურსის ჩატარების გზით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც შესაბამისი კონკურსისთვის დადგენილ ვადაში შემოიტანს განაცხადს, კონკურსში მონაწილეობის შესახებ გამოცხადებული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, და რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით წაყენებულ მოთხოვნებს.
3. აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი, უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს:

3.1 პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. პროფესორის თანამდებობაზე პირველად არჩევის შემთხვევაში - აირჩევა 6 წლის ვადით;

3.2 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, შეიძლება არჩეულ იქნეს, დოქტორის და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩევის ვადა - 5 წელი;

3.3 ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, შეიძლება არჩეულ იქნეს, დოქტორის და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა - 4 წელი;

3.4 ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, შეიძლება არჩეულ იქნეს, დოქტორანტის სტატუსის მქონე პირი (კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სტატუსის შესახებ დამადასტურებელი ცნობა); ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა - 3 წელი.

4. აკადემიური თანამდებობაზე არჩევისას მხედველობაში მიიღება თითოეული კონკურსანტის მონაცემები:

4.1 პედაგოგიური გამოცდილება;

4.2 სამეცნიერო საქმიანობა (ბოლო 10 წელი);

4.3 სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი;

4.4 სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში კონკურსანტის კომპეტენტურობას;

4.5 სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა;

4.6 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რეცენზირება, ოპონირება სადისერტაციო საბჭოს წევრობა;
4.7 საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა
4.8 საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა
4.9 მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების გამოცდილება ან სულ მცირე B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert და ა.შ;

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
2. ფოტო სურათი 3X4 (ფერადი 1 ცალი).
3. ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის არ ქონის შესახებ (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, კონკურსანტი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მოიხსნება კონკურსიდან; იხ. www.sa.gov.ge ნასამართლობის ცნობის გაცემის წესი და პირობები
4. განცხადება და წინასწარი თანხმობა აფილირების შესახებ, დადგენილი ფორმით (იხ. დანართი N1 და დანართი N2);
5. ანკეტა დადგენილი ფორმით, ბეჭდური და ელექტრონული სახით (იხ. დანართი N3);
6. Curriculum Vitae - ქართულ და ინგლისურ ენებზე (ბეჭდური და ელექტრონული სახით), რომელიც უნდა მოიცავდეს:

6.1 პირად ინფორმაციას - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი
6.2 განათლების შესახებ ინფორმაციას - წლები, სასწავლებლის დასახელება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (თემის სახელწოდების მითითებით), მინიჭებული კვალიფიკაცია, ქვეყანა;
6.3 სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას - მუშაობის წლები, ორგანიზაციის დასახელება, თანამდებობა, მოვალეობები, მიღწევები, ქვეყანა;
6.4 პროფესიულ და სამედიცინო განათლებაში გავლილი ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილების შესახებ ინფორმაციას - თარიღი, დასახელება, ორგანიზატორი, ქვეყანა;
6.5 პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის შესახებ ინფორმაციას
6.6 ენების ცოდნის შესახებ ინფორმაციას (ცოდნის დონის მითითებით), მათ შორის ინგლისური ენა სულ მცირე B2 დონეზე
6.7 კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაციას - მიუთითეთ კომპიუტერული პროგრამების ჩამონათვალი და ცოდნის დონე;
6.8 დამატებითი ინფორმაცია - სპეციფიკური უნარ-ჩვევები, პუბლიკაციები და სხვა.

7. ანკეტასა (დანართი N3) და CV- ში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი შემდეგი მტკიცებულებები:

7.1 განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხოეთში გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი)
7.2 სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხოეთში გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი)
7.3 ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება ან საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის

განმავლობაში; ან საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში; ან ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით; ან ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert და ა.შ)

7.4 სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

7.5 შესაბამისი სპეციალობის საექიმო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ვაკანსიის შესაბამისად)

7.6 პედაგოგიური და კლინიკური პროფესიული საქმიანობის გამოცდილების შესახებ ცნობა (კლინიკური საქმიანობის დადასტურება მოითხოვება მხოლოდ კლინიკურ სპეციალობებში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციებისთვის);

7.7 შესაბამის დარგში კონკურსანტის ბოლო 10 წლის სამეცნიერო შრომების და პუბლიკაციების პირველწყაროების ასლები;

7.8 პროფესიული ორგანიზაციის (საზოგადოების) წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;

7.9 კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობის სერტიფიკატების ასლები;

(გთხოვთ, cv-ბი, ანკეტა და ნაშრომთა სია შეასრულოთ Sylfaen - ის ფონტით. დოკუმენტები, გარდა სურათისა და ნაშრომთა ასლებისა, წარმოადგინოთ ჩაწერილი ელექტრონულ მატარებელზე, CD-R-ის სახით)

ვაკანტური აკადემიური თანამდებობები:

საბაზისო მედიცინა:

ადამიანის მორფოლოგიისა და პათოლოგიის დეპარტამენტის მიმართულებები:

1. ადამიანის ანატომია - 0+1+0+0
2. ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია - 1+1+0+0

ადამიანის ნორმალური და პათოლოგიური პროცესების უჯრედული და მოლეკულური საფუძვლების დეპარტამენტის მიმართულებები:

1. სამედიცინო ფიზიოლოგია - 0+0+0+1
2. მოლეკულური ბიოლოგია და სამედიცინო გენეტიკა - 0+1+0+0

კლინიკური მედიცინა:

შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის მიმართულებები:

1. შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით - 0+0+0+1
2. კარდიოლოგია - 1+0+0+1
3. ნეფროლოგია - 0+1+0+0
4. ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი - 0+1+0+0
5. რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები - 0+1+0+0

6. ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია - 0+1+0+0
7. შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია - 0+1+0+0
8. პედიატრია - 0+1+0+0
9. ინფექციური სნეულებანი - 0+1+0+0
10. ნერვიული სნეულებანი - 0+1+0+0
11. სამედიცინო რენტგენოლოგია და რადიოლოგია - 0+0+0+1

ქირურგიის დეპარტამენტის მიმართულებები:

1. ზოგადი ქირურგია - 1+0+0+0
2. კერძო ქირურგია - 0+1+0+0
3. ონკოლოგია - 0+1+0+0
4. ტრავმატოლოგია და ორთოპედია - 0+1+1+0
5. ოტორინოლარინგოლოგია - 0+1+0+0
6. ოფთალმოლოგია - 0+2+0+0
7. ბავშვთა ქირურგია - 0+2+0+0
8. გადაუდებელი ქირურგია - 0+1+0+0
9. მეან-გინეკოლოგია - 1+1+0+0

სოციალურ და ქცევითი მეცნიერებების დეპარტამენტის მიმართულებები:

1. ქცევათმეცნიერება - 0+1+0+0
2. პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით - 0+1+1+0
3. ბიოსამედიცინო ეთიკა - 0+1+0+0

*ვაკანსიებზე მითითებული ციფრების რიგითობა შეესაბამება შემდეგ აკადემიური თანამდებობების თანმიმდევრობას: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

*ვაკანსიებზე მითითებული ციფრები აღნიშნავს: 0 ვაკანსიის არ არსებობა, ხოლო ციფრი შეესაბამება ვაკანტური თანამდებობაზე გამოცხადებული პოზიციების რაოდენობას.